საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №283

28 ნოემბერი 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 28 ნოემბერს 10:30 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, მარინა მუსხელიშვილი და ალექსანდრე ვახტანგოვი. სხდომას არ ესწრებოდანენ გიორგი კოხრეიძე და ლელა გაფრინდაშვილი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. PKF UBC Services LLC-ი აუდიტორული კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, მაუწყებლის გენერალური დირექტორის სახელზე გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღება.
2. მიმდინარე საკითხები.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა.

პირველი საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს სახელზე შემოვიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის სამსახურებრივი ბართი, სადაც ის მოგვმართავს თხოვნით მივიღოთ გადაწყვეტილება შპს „PKF UBC Services LLC“-აუდიტორულ კომპანიას და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლეს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამი დღის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „PKF UBC Services LLC“-ს აუდიტორულ კომპანიას და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლეს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული გადაწყვეტილება,რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014

წლის 28 ნოემბრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე		გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი		ირინე ზაქარიაშვილი